

572
1972



1972 ՈՅԵՅՅԿՈՒՄԻ

ՀԱՅԿ

ზამთარი

მიქი შიშინაძე

მკაცრი ზამთრის მყუდროებას
ნაკადულიც ველარ არღვევს;
თეთრ საბანში შეფუთულან
და საამოდ სძინავთ ტალღებს,
გადაბარდნილ წნორის ხეებს
მონისლული ცა დაჰყურებს...
და ფარფატა კვამლის ფთილა
უხმოდ სწყდება საკვამურებს.
ყინავს გარეთ. პატარები
მიყუყუელან თბილ ბუხართან,
ყურს უგდებენ გატაცებით
ბაბუს ნათქვამ ტყუილ-მართალს.
მოღულუნე ფიჭვის შეშა
ირგვლივ ზღაპრულ სურნელს აკმებს.
დრო იღვევა ნელა-ნელა
და დღის შუქი ტოვებს სარკმელს.





გოზინაყი

პახანა ძნაჲჲ

1186

ციყუნიამ წინსაფარი
 გაიკეთა დედიკოსი:
 — დათვო, გინდა გოზინაყი?—
 შენ თაფლი გაქვს, მე—ნიგოზი!
 დათუნიაც დაფაცურდა,
 განა უშნოდ ზოზინებდა:
 — გოზინაყით ვის არ უხდა
 ყელის ჩაკოკლოზინება!
 გაიშალა სუფრა ძმური,
 ახალი წლის დადგა დამე...
 მოილხინეს მეგობრებმა,
 გოზინაყიც ბლომად ჭამეს!

ნახატი პანანა მოკრილაძისა



ჩვენსი პოსტონი



ჩვენსი პაგარა მემორიუმო!



თქვენ ერთი სული გავით, როდის ჰქონდათ ჰიონერის ველსახვევს...

მალე, სულ მალე ავიხივებთ ეკ ოცნებაც— დღეს თუ სვალ, წელს თუ გავიხად, ვეკლა თქვენგანის გახედება ჰიონერი...

რა თქმა უნდა, ბევრ ჰიონერს იცნობთ, — ზოგი თქვენი და, ზოგი — ძმა, ზოგი — მეზობელი ან ახლობელი... მაგრამ იქნებ არ იცით, რომ ვეკლა ჰიონერი ირიცხება გ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ ჰიონერთა ორგანიზაციაში, რომელიც ამ 50 წლის წინათ შეიქმნა.

წელს, მაისში, ჰიონერები თავისი ორგანიზაციის 50 წელს იხეიმებენ.

მოდით, „დილაშიაც“ ავტოგეგისოთ ჰიონერული „ოცნანი“. ჩვენც შეუერთდეთ ჰიონერთა დღესასწაულს, გავიზიაროთ მათი სიხარული. გავიგოთ, როგორ სწავლობენ, შრომობენ, იხევენებენ და ერთობიან თქვენი უფროსი მეგობრები.

პირველი ჰიონერული რაზმი 1922 წლის თებერვადში შეიქმნა მოსკოვში.
მერე ასეთი რაზმები ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც ჩამოყალიბდა.

1922 წლის მაისში კი, კომკავშირის თაოსნობით, ვეკლა რაზმი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდა.
ასე დაიბადა ჩვენს ქვეყანაში ნორჩ ჰიონერთა ორგანიზაცია.

თბილისში პირველი რაზმი 50 წლის წინათ ჩამოყალიბდა რკინიგზის საუბგონო დეპოში. ბევრი მაშინდელი ჰიონერი ახლა თქვენი ბაბუა და ბებიანა...



ნორჩი ლენინელები

ნახატი შარაშვილი

დიდი ბელიდი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მუდამ გულისყურით ეკიდებოდა პიონერთა საქმიანობას. ძალიან ახარებდა, რომ ბავშვები მხარში ედგნენ უფროსებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი, ბუნებრივი ცხოვრების მშენებლობაში.

პიონერები ხშირად სწერდნენ წერილებს დიდ ბელადს.

ლენინი ავად რომ გახდა, მოსკოვის ბაუმანის რაიონის მეთუე რაზმის პიონერებმა წერილი გაუგზავნეს:

„პაპა ილიჩ, ჩვენ, ნორჩი პიონერები, მხურვალე საღამო

გითვლით და გისურვებთ, მალე გამოჯანსაღდე! ძალიან გვწყინს, რომ ასე დიდხანს ავაღმყოფობთ. ჩვენ ხომ არც ერთხელ არ გვინახინარ. ნორჩ პიონერებს გვინდა, რომ მალე მოიკეთოთ და ჩვენს პიონერთა შეკრებაზე გამოხვიდეთ“...

მაგრამ პიონერებო ველარ შეზღვენ ლენინს. 1924 წლის 21 იანვარს ილიჩი გარდაიცვალა. საპატიო ყარაულში მოსკოველი პიონერებიც იდგნენ.

დიდი ბელადის პატივსაცემად პიონერთა ორგანიზაციას ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია ეწოდა.

პიონერულმა რაზმმა ბევრ თქვენ თანატოლს შეაუვარა წიგნი, შრომა.

დაამეგობრა სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები.

გამი უფროსი ახმა



მეცა მამაკაცი

მშობლები რომ მიყვარს, მიყვარს,
 მხოვ არ მიყვარს ნაკლებად
 მე რომ ვახსოვო, აფიცებ და
 ცხრს მათს თქვა ვაძულებ.

მე რომ ვახსოვო, ხელს წამოვდებ,
 ქალღეს შემოპატარავებს,
 წყნს უხანია ვუღალს უფროს,
 თურს გველუბა პატარავს.

ღილით უყენია ფეხს,
 ვერ კიფევი რომ ძანებს შიეს—
 ვინცა ვინცა და მიყვარავს,
 ვინცა წამებს ვარსე.

წამბეღულით ვწივებ,
 იურიღებს ვაღიხვებ
 — ახ, წინა, სიკვდილმეტ
 ვაფიცვარე შემსებ.

ნაბეჭები 42307 8289646863



„მეაჩხერა კარგია ამხანაგადა, უტყროსივებსე“



„ირუნავს, უფროსებს ვხმარებთ.“

გამი უფროსი ახმა



სახლი

მარი ბოლქვაძე

თოვს, უპ, როგორ თოვს.

ცივა, როგორ ცივა.

რა სიჩუმეა და რა სიმუდროვე.

მთები ჩუმად ღვანან. ტყეც ჩუმადაა, სერგები და მინდვრებიც ჩუმად იყურებიან. ადამიანები სახლებში შეყუჟულან. სახლები საკვამურებიდან ფუმფულა, თბილ ბოლს სვეტებივით უშვებენ ცაში, თითქოს ყალიონებს აბოლებენო. თოვლის ბორიალა ფანტელები თავს ფიქრებივით ეხვევიან სიცივეში მწყერებივით მიყუჩებულ სახლებს.

ყველა სახლში ბუხარი ანთია, ყველა სახლის ბუხარში კვერი ცხვება, ტახტზე ბალები გორაობენ; ხან იცინიან, ხან ტირიან—როგორც მოეხასიათებათ. მარტო ერთი სახლი დგას მოწყენილი. ამ სახლში არც ბუხარი ანთია, არც კვერი ცხვება, არც ონავარი ბალები აყრუებენ ჭრიამულით იქაურობას, არც თვალგამოკუთვლი ფისუნია კრუტუნებს ნებივრად. სახლი ტყის პირას დგას და პატრონს ელის; რამდენი ხანია მარტოა. ნეტავ რისთვის წავიდნენ და ნეტავ რატომ არ ბრუნდებიან?

გზოშიც არავინ ჰუკანებს, ქათმის ნაფეხურებიც არ ატყვია თოვლიან მიწას; აბა, მარ-

ნახატები ზუკაბ შორჩხიშისა

ტო სახლი ვის რად უნდა, თუ პატრონი არსად არის.

სახლს გააკანკალა.

სცივა, სულ ასე მარტო რომ დარჩეს?

— აბა, გაიხედე, ჩვენიანი არავინ მოდის?—
ეს მერამდნენდ სთხოვს ბეღურა ჩიტს.

ჩიტს სახლი ეცოდება, თხოვნა არ უნდა, ისედაც იხედება მალიმალ:—არავინაა...



და უცებ—ხრაშ-ხრუმ, ხრაშ-ხრუმ!—მოის-
მის თოვლის ხრაშენი.

მელაია...

— მელაია, მელაიკულა!—გაუხარდა სახლს,—
მოდი, ჩემთან იცხოვრე, მარტო ყოფნა აღარ
შემიძლია!

— არა, მაგოდენა სახლში რა გავაკეთო,
გავიფიჩხები, ჩემი სორო სჯობია, პატარაა
და თბილია.

სახლი შეეხვეწა:



— აღექი და, აანთე ბუხარი, შენც გათბე-
ბი და მეც!

— არ შემიძლია. ცეცხლის დანთება მარ-
ტო აღამიანებმა იციან!—თქვა მელამ და სა-
სწრაფოდ გაიქცა. ვინ იცის, საეშმაკოდ ავგი-
ანდებოდა.

ახლა კურდღელმა ჩამოურბინა სახლს.

— კურდღელო, კურდღელო, მოდი ჩემ-
თან იცხოვრე!—კურდღელსაც დაუძახა სახ-
ლმა.

— მოვიდოდი, მაგრამ მაგოდენა სახლში
რა გავაკეთო, სიცივით გავიფიჩხები, ჩემი
სორო მიჩვენია. პატარაა და თბილია.

— ესეც მელიასავით ლაპარაკობს!—გული
დაწყდა სახლს...—მოდი, ბუხარი აანთე, შენც
გათბები და მეც!

— ცეცხლის ანთება მარტო აღამიანებმა
იციან!—ჩაარაკრაკა კურდღელმა და ისიც
გაიქცა.



მერე ფისო გამოჩნდა, სახლს სულ გადაე-
წურა იმედი:

— იპ, ეს სულ უმაქნისია, მაგას მზამზარე-
ულზე უყვარს ყოფნა, აუბრეხია კული და
მიიგრებიხება, სიცივეში რა გააჩერებს, თბილ
ადგილებს ძეგს.

უცბად ქარი მოვარდა, სახლს გარშემო შე-
მოურბინა, კუკურუტანებში შეძვრა და ისე
შემადრწუნებლად დაუსტენინა, ჩიტებს შიში-
საგან ბუმბული აუბურჰგნა და გააქრიალა.

— ესლა მაკლდა, რა დღეშია ეს ოინბაზი,
დროდადრო გამოჩნდება ხოლმე!—მოიბუზა
სახლი.

— მე ვიქნები შენთან!—ხან კარს მიახტა
ქარი, ხან ფანჯრებს აეკონწიალა.

— შენ სიამოვნებით იცხოვრებდი ჩემთან,
მაგრამ რა გაგიძლებს, სულ ვადამატრიალებ
და ყირაზე დამაყენებ!—შუბლი არ უჩვენა
ქარს სახლმა.





— უ-უუ!

აი, ეს კი მატარებელია.

ყოველდღე ასე მირბის და მორბის, აივლის და ჩაივლის; ამ სახლში არავინ მოჰყავს, ჰპირდება კი მოგიყვანო.

ახლაც ჩამოდგა სადგურში.

მერე ისევე აკივლდა და ისევე წავიდა.

— წავიდა, რა ენაღვლება, თვითონ სულ გამოტენილია ხალხით!— ამოიოხრა სახლმა.

ქარმა უფრო დაუბერა, კიდევ მიახტა კარს და ფანჯრებს, კედლებს გადაეგლასუნა, კი-

დევ დაუსტვინა ქუქურტანებში.

ჩიტმა კიდევ გაიხედა გზაზე.

ბიჭოს! ვილატეები გამოჩნდნენ; აქაურებს არა ჰგევანან. სამნი მოდიან: ქალი, კაცი და ბავშვი. წინ ქალი მოდის, უკან—კაცი, შუაში ბავშვი ჩაუყენებიათ. გვერდით ძალიერ მოჰყვებათ. ქიშკარს მოადგნენ, არც დაუძახიათ, არც რა,—პირდაპირ შემოვიდნენ ეზოში, თოვლზე ნაფეხურები დატოვეს...

— ჩვენი სახლი!—ხელები გაშალა გოგონამ!—მერე ტაში შემოჰკრა და პირველი





ავარდა კიბეზე, თან ძალლი მიჰყვა. მერე კაცი ავიდა და რაზა გადაწია, კარი გაიღო. კაცმა ბარგი აზიდა.

— უპ, როგორ ცივა! — თქვა გოგონამ ოთახში ფეხი შედგა თუ არა.

— უპ, როგორ ცივა! — თქვა ქალმა და კაცს.

ძალლიც ალბათ ამას იტყვოდა, ლაპარაკი რომ შესძლებოდა; გოგონასთან ერთად ოთახებს დაურბინა და ყველაფერს გულმოდგინედ დასუნა.

მერე ქალმა დარაბები გააღო, ოთახში სინათლე შემოუშვა, კაცმა შეშა შემოიტანა, ნაეთი მოასხა, ვინ იცის, როდინდელი შენახული, და ასანთს გაჰკრა: ცეცხლი აბურბურდა.

ოთახში სითბო დატრიალდა.

გაყინული ფანჯრის მინები დაიორთქლა და წყლის წვეთებად იქცა. წვეთები ლაპალუპით ჩამოკურდნენ გამჟვირვალე მინაზე.

— სახლი ტირის!

გოგონას გული გადაუტრიალდა, ფანჯარას მიაჩერდა.

— სახლი ტირის!

ოთახში სიჩუმე ჩამოდგა. მარტო ხმელი შეშა ტყაკუნობდა ბუხარში.

— რა იყო, ანი? — დედას შეეშინდა. ძალლიც გატრუნულია, გოგონაც.

გოგონა თავისთვის ჩურჩულდებდა: — სახლი ტირის...

დედას კი ხმამაღლა პასუხობს: — არაფერი, რა უნდა იყოს.

დედაც წყნარდება, თავის საქმეს განაგრძობს.

კართან ფისუნა კნავის.



რა გაყვივლებს, მამალო?!



ნუნ ლალია
 რა გაყვივლებს, მამალო,
 საქმე გამოგელია?
 შე საწყალო, ყვივილზე
 არ მოგაგნოს მელიამ.

გიბს სპუნდარი

გიორგი მთავარი
 — გია, გია, ბაქია,
 შენს სახედარს რა ჰქვია?!
 — რა ჰქვია და, მოტორა,
 ტვირთსა ზიდავს ორ ტონას!



თანდილა

შოთა ხოლაშენი
 მე არ ვიყო პაპას ბიჭი,
 მე არ ვიყო თანდილა!
 თუ არ წავეყე მიხორ პაპას
 გაღმა ტყეში ხვალ დილას!
 წნელებს მოვჭრით თხილიანში,
 ქობში ღამეს გავათევთ;
 ჩამოვალთ და ერთად დავწნავთ
 გოდრებსა და კალათებს.

ნახატები ლიხიანი საკაუთვილითა

გავეხვების დიდი მეგობარი

ასი წელი შესრულდა ცნობილი ქართველი მწერლის,—ნინო ნაკაშიძის დაბადებიდან.

„დილას“ ძველი მკითხველები კარგად იცნობენ მის შემოქმედებას: მოთხრობებს, ზღაპრებს, პიესებს.

ნინო ნაკაშიძე ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“ და ბავშვთა გულის ქეშმარიტი მესაიდუმლე იყო.



სახალწლო საჩუქარი

ნინო ნაკაშიძე

ნახატი მიქრაბი როინიშვილი

მთელი კვირის განმავლობაში თოვლა; დღეს კი გამოიდარა, მზემ გამოაშუქა, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა.

—ამალამ დიდი ყინვა იქნება,—თქვა მამამ,—მაგრამ არა უკირსრა, ხვალ ახალი წელიწადია, ბუხარში ცეცხლი დავაგუზგუზოთ და შემოგუსხდეთ.

—მამიკო, სახალწლო საჩუქარი?— შემოგხვიენენ ბავშვები.

—სახალწლო საჩუქარი? აი, დედა ხაჭაპურებს გამოგიცივობს, მანდარინებს გვიციდის.

—არა, მამა, ხაჭაპურებს ხომ შევჭამთ, ჩვენ გვიჩნდა სხვა რამე, უფრო კარგი.

—ჰოო, სხვა რამე თუ გინდათ, ეს ადვილი კი არ არის, ამას მოფიქრება უნდა, აბა, დაეხდეთ და მოვიფიქროთ! ყველანი დასხდნენ და დაფიქრდნენ. კარგა ხანს ისხდნენ დაფიქრებულნი.

—კანფეტები! დაიძახა ბოლოს ციამა.

—კანფეტები ხომ ისედაც გვექნება

ახალწელიწადს,—იწყინა რეზომ.

—კინოში...

—არა, კინოში წაყვანას ხომ ისედაც დაგვირდა დედა,—გაჯაჯრდა ალიკო.

—დიდი ბურთი ფეხბურთისათვის,— წამოხტა გაბო.

—ოჰ, ფეხბურთი ვის გაუგონია ზამთარში!— შესძახეს ერთხმად ბავშვებმა.

—მოვიფიქრე, მოვიფიქრე, ყველას გაგებარდებათ.—შესძახა მამამ,—აბა, აიღეთ ნიჩბები და ჰერი, ეზოში!

ბავშვები სიხარულით გამოუდგნენ მამას თოვლით სავსე ეზოში და ნიჩბებით თოვლის დიდი, გრძელი გორა აღმართეს.

—ახლა ამას წყალი გადავასხათ,—თქვა მამამ,—ამალამ გაყინავს, და ხვალ, ახალწელიწადს მშვენიერი საციკაო გორა გექნებათ. შარშან რომ შორს ციკაობდით, ახლა ეზოში იციკავებთ, არც ავტომანქანები, არც მოტოციკლები ხელს არ შეგიშლით... ესეც თქვენი სა-



ჩუქარი სახალწლოდ.

— მო, კარგი საჩუქარია, მამიკო! —
ყვიროდნენ გახარებულები.

ახალიწლის დილას ბავშვები გამოვი-
დნენ ეზოში, გორა გაყინულიყო და მზით
გასხივოსნებელი ლაპლაპებდა.

გაბომ, ციალამ, ალიკომ და რეზომ სი-

ხარულით ტაში შემოჰკრეს, რიგრიგო-
ბით, ორ-ორი შეუღდნენ ცივაობას და
იძახდნენ:

— ოპ, რა კარგი სახალწლო საჩუქა-
რი მოიგონა მამამ, — რა კარგია, რა გვი-
ხარია!..



საბავშვო ბაღი

თეიმურაზ აბულაძე

მანანა მოდის ბაღიდან, მანოს შენატრა მეზობლის
მოდის კი არა — მოფრინავს: პატარა გოგომ — კეთილმა
— ბაღი რა კარგი ყოფილა, — ნეტავ მეც შენთან მატარა,
დედა, რა კარგი ყოფილა! სახლში რომ გამოვკეტიდვარ!
რამდენი სათამაშოა,
ველარ დავთვადე თოჯინა. —



დორუკა

ინგოგორე ვოისკალი ნახატები თაბავ ხუმიშვილი

ლორუკა იწვე და არხენად ხვრინავდა. მერე მზე ამოვიდა და ცხვირში შეუღლიტინა.

ლორუკას გაეღვიძა, დაამტნარა და გაიზმო-რა: „მოდი, დღესაც დავისვენებ. ავდგები და სტუმრად წავალ!“ — თქვა, ჭილის ქუდი დაიხურა, ქოლგა აიღო და კატუნასთან გასწია.

კატუნას უკვე სამზარეულო დაეღაგებინა და ჩძის ფაფას ხარშავდა.

— გამარჯობა, კატუნი, — უთხრა ლორუკამ, — სტუმრად მოვედი. აბა, რა გაქვს საუშმედი?

— ჩძის ფაფა, — უპასუხა კატუნამ და პატარა თევში გადმოუღო. ლორუკამ კი მთელი ქვაბი დაითრია, ყველაზე დიდ კოვზს დაადო ხელი და თქვილიფა და თქვილიფა, ქვაბი პირწმინდად ამოასუფთავა.

— კიდევ რა გაქვს?

— მეტი არაფერი.

ლორუკამ ახლა ძალღთან გასწია. ძალღი ეზო-ში შეშას აპოხდა.



— ძალიან კარგია! — თქვა ლორუკამ. ადგა და ახლა ზღარბთან გასწია.



— სტუმრად მოვედი, რა გაქვს საჭმელი? — ჩაიღრუტუნა ლორუკამ.

— მწვანე ლობიო ნივჯით შექმანული, — უპასუხა ძალღმა.

— გავსინჯავ თუ შეიძლება! — ლორუკამ აიღო დიდი ციციხვი და სინჯვა-სინჯვაში მთელი ქვაბი შემოეკება.

ზღარბი ბალში მუშობდა.

— სტუმრად გეწვიე, რა გაქვს საჭმელი?

— კეცის მჭადი და სალათა! — უპასუხა ზღარბმა და მუშაობა განაგრძო.

— არ არის ურიგო! — ღრუტუნამ წააშვირა დინჯი და შვიდი კეცი შექვა, ორი ჯამი სალათაიცი მიაყოლა.



— ძალიან მომეწონა!—თქვა ღორუკამ.
 ადგა და ახლა ბეკეკასთან მივიდა, ბეკეკა
 ხატვით იყო გართული.
 — სტუმრად მოვედი, რა გაქვს საჭმელი?
 — რკოს შევამანი!— უპასუხა ბეკეკამ და
 ხატვა განაგრძო.
 — არც ეგ არის ურიგო!—თქვა ღორუკამ და

სამი ჯამი რკოს შევამანი ჩათქვლიდა.—დასა-
 ყოლღბელი რაღა გაქვს?
 — რკოს შევამანი!—ჩაიკიკინა ბეკეკამ.
 ღორუკამ ისევ აივსო ჯამი რკოს შევამანლით
 და ისიც შეთქვლიდა.
 ამ კარდაკარ სიარულსა და სტუმრობაში კიდევ
 მოსალამოვდა. ღორუკა ისევ გაძღა, სუნთქვა
 უჭირდა.



— ახლა შინ წავალ!—
 თქვა და შინისაკენ გა-
 სწოა. მაგრამ სახლის კარ-
 ში გაიკედა. ბევრი იტრია-
 ლა, ხან ისა ქნა, ხან ესა
 ქნა, მაგრამ ვერა და ვერ
 შეეცა.
 უცებ მელიის ხავილი
 შემოესმა.
 — მიშველეთ!—დაი-
 ღრუტუნა ღორუკამ და
 ახლა საქათმისაკენ გაიქ-
 ცა, მაგრამ იქაც ვერ
 შეეცა.

მერე ტბის პირას, ლე-
ლიანში, მგელმა ვაიშ-
ლოგინა.

— მიშველეთ! — ისევ
წამოიღრუტუნა ლორუ-
კამ და შეშის გროვაში
შეფარდა. იხრილა შე-
შამ და .. თქვენს მტერს,
რაც ლორუკას დღე დაად-
გა, — ისე დაიძებგვა, წე-
ლი ძლივს აითრია.

მთელი ღამე სიცივი-
საგან და შიშისაგან კან-
კალებდა.

გათენდა. გაშოილვიძეს
კატუნიაშ, ძაღლმა, ზღა-
რბმა, ბეკეკამ... მიიჩბი-
ნეს შეშასთან და შიგ
რომ ცხვირპირდაბეგვილი ლორუკა ნახეს, ბევრი
იცივნეს.


ლორუკას ისე შერცხვა, სად დაშალულიყო არ
იცოდა, წამოხტა და შინისაკენ წელის თრევით
წავიდა.



„უსაქმურობაზე ძნელი არაფერი ყოფილა,“ —
წაიღრუტუნა და ბაღში კარტოფილის დარგვას
შეუდგა.

გერმანულიდან თარგმნა მანანა ბალაშვილმა






ბ166/30

76055

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ირემი“—ნახ. ბესიკ მუსაშვილი-
სა. 9 წ. სოფ. არაბანი.
„ლაპრის ჯოჯონა“—ნახ. მა-
რინა ვაღბოლსკაიასი. 5 წ. თბილისი.
„მოსწავლე“—ნახ. ირმა კიკოზა-
შვილისა, 5 წ. თბილისი.
„გემი“—ნახ. თამაზ გაბისონიასი,
8 წ. თბილისი.
„მოცეკვავე“—ნახ. ჯემური ვუ-
შიტაშვილისა, 4 წ. თბილისი.
„ჯოჯონა“—ნახ. ლელა ამიხულა-
შვილისა, 5 წ. თბილისი.

